

შპს “Geo Flower” – ჩირის და სამკურნალო მცენარეების წარმოება

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში მდებარე შპს "Geo Flower" 2007 წლიდან ხილის ჩირს და სამკურნალო მცენარეებს აწარმოებს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა არომატული ჩაის საწარმოებლად ევროპის ქვეყნებში. პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა ხილისა და მცენარეების საშრობი დანადგარის ასევე, სარეცხი, საჭრელი, ქაფით სარეცხი და ფოთლების დასამუშავებელი აპარატურის შესყიდვასა და მონტაჟში; გარდა ამისა, კომპანიამ ააშენა ახალი საწარმოო ნაგებობა, სასწავლო ცენტრი და ნედლეულის საწყობი. განხორციელებულმა პროექტმა კომპანიას საშუალება მისცა დაენერგა ბიოპროდუქციის მწარმოებლის Caucascertis, ISO 22000:2005 და HACCP-ის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დღეისათვის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია სრულ შესაბამისობაშია ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. პროდუქციის გაუმჯობესებულმა ხარისხმა შესაძლებელი გახადა პროდუქციის გასაყიდი ფასის ამაღლება და საერთაშორისო კლიენტების ბაზის გაფართოება. ინვესტიცია განხორციელდა EU4Business-EBRD- ის საკრედიტო ხაზის სესხით. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ კომპანიას გრანტის სახით უკან დაუბრუნდა კრედიტით მიღებული თანხის 15%.

განხორციელებული ინვესტიცია:

- ხილის საშრობი დანადგარი
- ხილის სარეცხი და დასაპრესი დანადგარი
- საწარმოო ნაგებობა, სასწავლო ცენტრი და ნედლეულის საწყობი

ინვესტიციის მოცულობა:

- სესხის მოცულობა: 129,147.25 ევრო
- გრანტის მოცულობა (15%): 19,335.66 ევრო



ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრა:

- 2007 წლის 28 ივნისის ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) # 834/2007 ორგანული პროდუქციის წარმოების და ეტიკეტირების შესახებ. (EEC) No 2092/91 ცვლილებით.
- (EC) No 178/2002 და აწესებს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს, რომელიც დაწესებულია ევროპის სურსათის უვნებლობის მაკოორდინებელი ორგანოს მიერ სურსათის უვნებლობის საკითხებში.
- რეგულაცია 2023/2006 წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დასრულება ისეთ მასალებზე რომელთაც შეხება აქვთ საკვებთან.